№ 189 სექტემბერი 3, ოთხშაბათი 1886 სექტემბერი 3, ოთხშაბათი № 189

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ქგრიქეროვა'ს წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 2 სექტემბერი

სისმონდი, რომელზედაც სტუარტ მილლი სწერს, რომ ზედმიწევნით იცისო ხიზნების მაგვარად მიწის მხმარებელთა ყოფა-ცხოვრება იტალიაში და დიდად სანდო და სარწმუნო კაციაო, ვრცლად მოგვითხრობს რა კარგს ყოფა-ცხოვრებაში და კარგს მდგომარეობაში არიან ისინი, ვისაც სტუარტ მილლი „მონახევრეებს“ ეძახის იტალიაში და რა კარგად აქვთ შემუშავებული და ნაკეთები მიწები. მოჰყავს რა მოწმობა სისმონდისა ამ საგანზედ და მის მიერ დაწვრილებითი აღწერილობა იტალიის ხიზნების სარჩო-საბადებლისა, შეძლებულობისა და კმაყოფილებისა, სტუარტ მილლი იკითხება:

> „განა ეს სიღარიბეა, განა რაშიმე ჰგავს ეს სიღარიბესა!“

სისმონდის მოწმობიდამა სჩანსო, განაგრძობს მერე სტუარტ მილლი, რომ ტოსკანის ხიზნები-მონახევრენი შეძლებულნი არიან არა ნაკლებ ფულიან ფერმერებზე თუნდ რა ქვეყნის ფერმერებიც გინდა იგულისხმოთო, უფრო დიდ ყოფა-ცხოვრებიანნი არიანო, უფრო გაცილებით მეტი სარჩო-საბადებელი აქვთო, ვიდრე სხვა რომელი სამე ქვეყნის მუშებსა, გარდა ამერიკის შეერთებულის შტატებისასა და ახალის კოლონიებისასაო.

ბევრი ციტატები მოჰყავს სტუარტ მილლს სისმონდის თხზულებიდამ და სხვათა შორის ეს ადგილიცა:

> „ხიზანი-მონახევრე ბინა მოკიდებულია და დგას თავის ადგილზედ, როგორც საშვილი-შვილო მიწაზედ, მეტის-მეტად უყვარს იგი მიწა, დაუცხრომელად მუშაობს, რომ იგი კარგად გააკეთოს, გაანაყოფიეროს, რადგანაც გამოელოდება რომ ეს მიწა მერმეც იმისია, იმის შვილისა და შვილი-შვილზედ გადავა გამოსარჩომად.—მართლადაც, თითქმის ყველა ამისთანა გლეხნი მამა-პაპით დგანან თავ-თავის მიწაზედ, იციან ყოველივე ავი და კარგი თვითეულ ტანის მიწისა იმ ზედმიწევნითა, რომელზედაც მიჰმართავს ხოლმე ადამიანს მარტო ერთი გრძნობა საკუთრებისა.“

მერლინი ამბობს ხიზნობის მაგვარ მიწის ხმარების თაობაზედ:

> „ესეთი ხმარება მიწისა უფრო სახეიროა მიწათ-მომქმედისათვის, ვიდრე გძელვადიანი და ხანგრძლივი იჯარა, იმიტომ-რომ პირველ შემთხვევაში წარმატება ნაკეთობისა არ იკარგება, როგორც მეორეში.“

ამ გვარ მიწათ-ხმარებაზედვე იპოლიტ პასსი ამბობს:

> „ყველაზედ მეტად ხელ-შემწყობი მეურნეობის გასაძლიერებლად იმისთანა ქირაობაა მიწისა, სადაც მთლად განსაზღვრული მოვალეობა და დამოკიდებულება მუდამ ახალისებს მიწათ-მომქმედსა არასფერი არა ჰზოგოს მიწის განაყოფიერებისათვის, როგორც სადღეისოდ, ისეც სამერმისოდ.“ „ზეკლემ-რეხტიო, (ესე იგი, ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი ხმარება მიწისა) სრულად ეთანხმება და ეშესაბამება ამ პროგრამასაო“, ამბობს ამ პასსის სიტყვების გამო ემილ დე-ლაველე.

პორტუგალიის ეკონომისტი ვალენსიო დესლანდესი ამბობს:

> „ჩვენებური აფორამენტო საოცრადა ჰგავს ზეკლემ-რეხტსა გრენინგენისასა. ეს საშვილი-შვილო იჯარაა, რომლის ძალითაც უფლება მიწის ხმარებისა გადადაუდებლად არის მინიჭებული იმ პირობით კი, რომ მიწის პატრონს ყოველ წლივ ეძლიოს კუთვნილი ღალა, რომელიც ერთხელ და ერთხელ განსაზღვრულია და რომელსაც თავის დღეში ვერ მოუმატებს მიწის პატრონი. ხალხს უწინ და ეხლაც კი განსაკუთრებით მოსწონს ამ გვარი ხმარება მიწისა. როგორც მიწის მხმარებელნი, ისეც მიწის პატრონები ერთ ნაირად აფასებენ დიდთა სიკეთეთა ამ გვარის მიწის-მფლობელობისას. ეს სიკეთენი თვალად სჩანან უფრო მინიოს პროვინციაში, რომელიც ასე გათქმულია თავისის მიწათ-მოქმედებითა, გლეხთა კეთილ-დღეობითა და მშვენივრად ნაკეთებ მამულებითა. იქ ყველა მიწები აფორამენტოს წესით არიან გაცემულნი და აღებულნი და სწორედ ამ გვარს წესს აწერენ მთელს კეთილ-დღეობას ამ პროვინციისას... საუბედუროდ დღევანდელმა კანონ-მდებლობამ, საფრანგეთის იდეიებით გატაცებულმა, ომი გამოუცხადა ამ მშვენიერს წესს მიწათ-ხმარებისას იმ აზრით, რომ ეგრედ-წოდებული „განთავისუფლება მიწებისა“ მოახდინოს, ესე იგი აღადგინოს ხელ-შეუხებელი საკუთრება და ერთი ზოგადი სახე მისცეს მიწის იჯარით აღებასა. ეს შეცდომაა. ყოველივე წესი მიწის ხმარებისა კარგია, თუ კი თავდებია მისი, რომ ხმარება მიწისა მის ხელით იქმნება, ვინც მიწას ამოქმედებს.“

ფორსტერი მოგვითხრობს რა ეკონომიურს კეთილ-დღეობას მინიოს პროვინციისას, საცა, როგორც ზემო მოყვანილ სიტყვებიდამ სჩანს, ხიზნობის მაგვარი მიწის ხმარებაა, ამბობს:

> „მინიოს სამართლიანად ეძახიან, რომ პორტუგალიის წალკოტიაო.“

ჩვენ მოვიყვანეთ მოწმობა იმისთანა მეცნიერთა, რომელნიც ჩვენდა საყურადღებო საგანს, ესე იგი, ხიზნობის მაგვარს ხმარებას მიწისას, შეეხნენ ისე — როგორც იტყვიან,—გზად, იმიტომ რომ თხზულებანი, საიდამაც ყოველივე ზემოდ მოყვანილი ციტატები ამოვწერეთ, საკუთრად ამ გვარ მიწათ-მფლობელობისათვის არ არიან დაწერილნი და ამის გამო ეგ გვარი მიწათ-მფლობელობა იმა თხზულებათა წვლილს შეადგენს და არა მთავარს საგანს, თუმცა ამით მათს აზრს არც ძალა და არც მნიშვნელობა არ ეკარგება.

ჩვენ დაგვრჩა ერთი იმისთანა მეცნიერი, რომელსაც საგნად თვისის თხზულებისა აუღია თითქმის განსაკუთრებით ხიზნობის მაგვარი მიწათ-მფლობელობა და რომელიც ამ საგანზედ უფრო ვრცლად ჰლაპარაკობს, ვიდრე სხვანი. ეს მეცნიერი ემილ დე-ლაველეა სახელ-განთქმული და მთელის ევროპის მიერ მოწონებული, როგორც მიწათ-მფლობელობის და მიწათ-საკუთრების უკეთესი გამომძიებელი. რადგანაც ამ მეცნიერის მოწმობა მეტად გძელია, ამიტომაც ამის აზრს იმ გვარ მიწათ-მფლობელობაზედ, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, შემდეგს ნომერში მოვიყვანთ, რაც შეიძლება დაწვრილებით და ვრცლად.

ახალი ამბავი

⁂ უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის დირექტორს საბლერს, რომელიც თან ახლდა პობედონოსცევს, მოუსურვებია აქ ყოფნის დროს ქართულის საეკკლესიო გალობის მოსმენა. ყოვლად უსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს შეუსრულებია ბ-ნის საბლერის სურვილი. ტფილისის მუსიკის საზოგადოების დირექტორს ივანოვს საბლერის თანადასწრებით დაუკრავს ყველა ის ხმები ფისგარმონიაზედ, რომელიც მას გადაუღია ნოტებზედ მღვდელთ პ. კარბელოვისა, გრ. მღებრიშვილისა და ა. მოლოდინოვის დახმარებით. ამ გალობის კილო ქართლ-კახეთის, ანუ ესრედ წოდებულის კარბელოვის გალობის კილო არისო. საბლერს მოუსმენია ეს გალობა და ძალიან მოსწონებიაო.

⁂ ობერ-პროკურორი უწმინდესის სინოდისა 28 აგვისტოს საღამოს მოვიდა ტფილისში. მეორე დღეს, 29 აგვისტოს დილით იყო საქართველოს ეგზარხოსთან, სადაც მოგროვილნი იყვნენ საპატიო ტფილისის სამღვდელო პირნი და სინოდალურისა და სასულიერო სასწავლებლების მოხელენი. შემდეგ ეგზარხოსი და ობერ-პროკურორი წავიდნენ სიონში. იქ სამღვდელოება მოეგება. პობედონოსცევმა გასინჯა სიონი, სინოდალურის კანტორის სადგომი და შემდეგ მივიდა გორის ეპისკოპოსთან, ყოვლად უსამღვდელო ალექსანდრესთან. აქედამ სასულიერო სემინარიაში წავიდა, გასინჯა

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

IV

საღამო საშინელის ციებ-ცხელების დღის შემდეგ,---შემდეგ გამწვავებულის მოუსვენრობისა და ნეტარების დღისა,—ელენემ ისე გაატარა, რომ ხან სულ გული უწყალდებოდა, ხან კიდევ უცნაურს ტკბილს დარდსა ჰგრძნობდა. ადამიანის დარდი თავის ბედნიერებაზე განა იგივე ფიქრი არ არის იმავ ბედნიერებაზე? ნეტა რისთვისა სთხოვა არმანს, დღეს საღამოს ნუ მოხვალ ჩვენსაო. როცა იქ იყო, იმის გვერდით, ელენეს ეგონა, რომ მისი ნახვა დღესვე ასე მალე ჩემს სახლში ამ ნაირად ერთად მარტოდ-მარტო ყოფნის შემდეგ, მეტად სამძიმო იქნება ჩემთვისაო. ეხლა-კი,—სადილს უკან, ქალი იჯდა პატარა სასტუმროში და ხელ-საქმეს აკეთებდა იმავე სავარძელში, სადაც არმანი იჯდა ხოლმე, და ნანობდა, რომ ის აქ არ არისო. ეხლა რომ აქ ყოფილიყო, ხან-და-ხან იმის ხელს მაინც შევახებდი ჩემს ხელსაო და შევისუნთქებდი იმ ჩემს მოსაწონს ნელს სურნელებას, რომელსაც ჩემის რჩევით ჰხმარობს ხოლმე არმანიო. ქალს გონებითა ჰქონდა წარმოდგენილი ის მეტად სასიამოვნო გრძნობა, რომელსაც გამოიცდის ხოლმე დედა-კაცი, როცა, ვინც რამდენისამე საათის წინად ჰკოცნიდა და თანაც ეუბნებოდა: «მიყვარხარო», ეხლა ეტყოდა: „თქვენ, ჩემო ბატონოვო“. როცა ქალი დაბრუნდა შინ, მხოლოდ ერთი მწარე გრძნობა გამოიარა ეს ის გრძნობა იყო, რომ როცა შვილმა კოცნა დაუწყო, ქალმა ველარ მოახერხა და ვერ აკოცა შვილსა. მან მხოლოდ ხელი მოჰხვია, ლოყაზედ მიიკრა ყმაწვილის ლოყა და იგრძნო, რომ თავისი შვილი ისევე უყვარს, როგორც წინად უყვარდა. ყველა ამ გვარმა გამოცდილმა გრძნობამა თავისი კვალი დასტოვა ელენეს პირის სახეზედ. მუდამ ნორჩი და ვარდის ფერი მისი პირი-სახე ამ საღამოს მეტად ფერ-მკრთალი და დატეტკილი იყო. ამ ფერ-მკრთალობამ უფრო გაალამაზა ელენე და მეტი მიმზიდველობა მისცა მის სახეს. ალფრედი ცოლის პირ-და-პირ იჯდა და გულით შეჰხაროდა ამ ქალის სილამაზეს და თან ამას ჰფიქრობდა: ეს ლამაზი ქალი ხომ ჩემი ცოლიაო... ჩემი საკუთარი ცოლიო... ამ კაცს ეხლა უფრო ძრიელ უყვარდა ელენე, ვიდრე როდისმე, მაგრამ ეს იყო, რომ მას უკან, რაც პარიჟში გადმოვიდა ოჯახით და ცალკ-ცალკე ოთახები დაიჩემეს ცოლ-ქმართა, ყოველთვის, როცა თავის ცოლის ალერსის სურვილი მოუვლიდა, ისეთი მღელვარება შეიპყრობდა ხოლმე, რომ ძლივს შეიმაგრებდა თავსა. საჭირო იყო ხოლმე, რომ ელენესაგან ნება ეთხოვა, შენს ახლო მამყოფეო, ან თუ ელენე იწვა, ნება მომეც შენთან შემოვიდეო. ამ საღამოსაც ისეთმა სურვილმა შეიპყრო ალფრედი, რომ წინ-და-წინვე მომზადებული სიტყვა, რომელიც უნდა ელენესათვის ეთქვა, ველარა სთქვა, თუმცა ენის-წვერზედ კი უტრიალებდა. ალფრედი ისე გაჩუმდა და გაკმინდა სული, რომ საწყალს ქალს სრულიად გადაავიწყდა, იქ იყო კიდევ მისი ქმარი, თუ არა. როცა წამოდგა თავის ოთახში წასასვლელად, მაშინ შენიშნა ალფრედი, მიუშვირა შუბლი საკოცნელად და უთხრა: „ხვალამდისაო“.

— რათა ხვალამდის? სთქვა მან პასუხად და წაეტანა, რომ ეკოცნა თვალებსა და ლოყაზე.

ქალი შეკრთა, მოირიდა კაცი და დააცქერდა. ქმარს თვალებში გაუელვა იმ ცეცხლმა, რომელიც დილას მისმა სარკემ გამოაჩინა, როცა ქალი თმას ივარცხნიდა. ამ ამბავმა უცბად გამოარკვია ქალი იმ ოცნებათაგან, რომელშიაც მთელს საღამოს იყო გართული. როცა ალფრედი მიუახლოვდა ქალს და ღიმილით უთხრა: „ელენე, ჩემო მეგობაროვო ..“ ქალი უცებ ჩამოეცალა, დადგა სავარძელს იქითა და უპასუხა:

— განა ვერ მამჩნევ, რომ დღეს საღამოს ძალზედ ავადა ვარ?

ქალი ისე იყო გაფითრებული, სახეზედ ისეთი დაღლილობა და მოქანცულობა ეტყობოდა, რომ ალფრედი მოლბა და შეეცოდა ქალი.

— ეს არის, ბოლო ელება, მგონია, ჩემს შაკიკსაცა, განაგრძო ქალმა და ხელი დაიდო საფეთქელზედ:— ამაღამ უნდა კარგად გამოვიძინო და ხვალ სულ კარგად შევიქნები...

— მაშ ხვალამდის?..

ქალმა გაიღიმა, მოხდენილად ხელი ანიშნა მშვიდობითაო და გავიდა სასტუმრო ოთახიდამ. ალფრედს ოთახი ზემო სართულში ჰქონდა თავისთვის საწოლ ოთახის გვერდზედ... „რა ნაირ აკლდება ჯანი და სუსტდება ჩემი ცოლიო!“ ჰფიქრობდა ალფრედი გულ-მოლბობილი...

„არა! არას დროს... არას დროს“,— ელაპარაკებოდა თავის თავს ელენე ხმა-მაღლა, რაკი გოგო მოიშორა თავიდამ და მარტოკა დარჩა. ადგა საჩქაროზედ ლოგინიდამ და დაჰკეტა თავის საწოლის ოთახის კარები.

ალფრედი ჯერ ისევ სასტუმრო ოთახში იჯდა და კარგად გაიგონა, გასაღებით როგორ დაჰკეტა ელენემ თავისი საწოლი-ოთახი. „ჩემი ეშინიან ამ ქალსა, თუ რა არი?“ შეეკითხა ღრმად დაღონებული ალფრედი თავის თავსა. ელენე-კი ამ დროს იწვა ლოგინში და იმეორებდა ნელის

---

*) იხ. „ივერია“ № 188.

სემინარიის ყველა სადგომები და შეგირდებსა და მასწავლებლებს ელაპარაკა.

30 აგვისტოს, ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღეს, ობერ-პროკურორი დაესწრო სიონში სადღესასწაულო წირვას და ნაშუადღევის 3 საათზედ სადილად მიწვეული იყო მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესთან, საქართველოს ეგზარხოსთან.

კვირას, 31 აგვისტოს, ობერ-პროკურორი იყო 1 კლასიკურ გიმნაზიაში. აქედგან, მთავარ-მართებელთან ერთად, წმ. ნინოს სასწავლებელში წავიდა და დაათვალიერა. შემდეგ ინახულა სომხების ეპისკოპოსი არისტაკესი და მასთან ერთად დაათვალიერა ძველი ვანქის ტაძარი.

ორშაბათს, 1 აგვისტოს ობერ-პროკურორმა გასინჯა კავკასიის მუზეუმი და საჯარო წიგნთ-საცავი. მუზეუმისა და წიგნთ-საცავის გასინჯვის დროს პობედონოსცევს თან ახლდა მუზეუმის დირექტორი დ—რი რადდე. შემდეგ დაათვალიერა ტფილისის ეპარხიალური საქალებო სასწავლებელი და იქიდგან დაბრუნების დროს ალექსანდრეს ეკკლესიაში შეიარა. („კავკაზი“)

⁂ ქალაქის ერთს-ერთს დუქანში ორ კაცს მოსვლია ჩხუბი, ერთს მეორესთვის შამფური უტაკებია მუცელში და მოუკლავს. მოკლული ქართლელიაო, სოფ. ხეითიდამ, გვარად გოგიშვილიო.

⁂ გუშინ დილას, მუხრანიანთ ხიდის ბორანს ახლოს, ზედ მტკვრის პირზე იპოვეს პატარა ყმაწვილი. ყმაწვილი, როგორც ეტყობოდა, ახალი დაბადებული უნდა ყოფილიყო.

⁂ სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს, როგორც შევიტყეთ, მცხეთაში გამოვლის დროს გაუსინჯავს სვეტი-ცხოვლის ეკკლესია და დედათა მონასტერი.

⁂ ტფილისის სასწავლებლებში მისაღები ეგზამენები თავდება და ამ კვირას სწავლა იწყება. ზოგან სწავლა ორშაბათიდამვე დაიწყო.

⁂ ზუგდიდიდგანა გვწერენ: ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ მოისპო ქურდობა და ავაზაკობაო. ამას წინად, მაგალითებრ, ზუგდიდში, ნაშუადღევის პირველ საათზე ყაჩაღმა ლაკრიბაიამ შუა-ქალაქიდამ მოიტაცა შეიარაღებული ცხენი და გაიქცაო. თუმცა მთელი ქალაქი სავსე იყო ხალხით და წესიერების დამცველნიც ბევრნი ტრიალებდნენ ქუჩებში, მაგრამ უეცრად ყველას ისე ელდა ეცა, გაშტერდა და დაიბნა, რომ ვერაფერი მოაგვარეს-რაო. გადარჩებოდა კიდეც თამამი ყაჩაღის სასჯელს, თუ ბოქაული დ—ძე ცხენით არ გამოჰკიდებოდა უკან. არავის არა ჰქონდა იმედი, თუ ბოქაული დ—ძე დაიჭერდა ავაზაკს, პირ-იქით, ყველას ეგონა, რომ საბრალო დ—ძე ყაჩაღის მსხვერპლი გაჰხდებაო, მაგრამ მეორე დღეს ბოქაულმა შეკრული ყაჩაღი მაზრის უფროსთან მოიყვანა, აფხაზეთში დაეჭირაო.

⁂ ქობულეთში ამას წინად მცხოვრებლების აღწერა ყოფილა. ქობულეთშიაო, გვწერენ იქიდამ, სულ 1083 კომლი ქართველი მაჰმადიანი სახლობსო. ამათში 3568 სული მამათა სქესს ეკუთვნის და 3057 სული დედათა სქესსა. 146 კომლი ბერძენი სახლობს, 354 სული მამათა სქესი და 310 დედათა სქესი. 98 კომლი რუსია, 253 კაცი და 130 ქალიო.

⁂ იქიდგანვე გვწერენ, ამას წინედ უფროსად ერთი იმისთანა კაცი დაგვიყენეს, რომელსაც ჩვენი არა ესმოდა-რა. ვერც თარჯიმანმა გვიშველა რამე, რადგან კარგად ვერ ასმენდა ჩვენს საქმესაო; ჩვენც ბათუმის ოლქის უფროსთან დავდიოდით და იქ ვირიგებდით ჩვენს საქმესაო. ვსთხოვეთ მთავრობას, შეისმინეს ჩვენი თხოვნა და უფროსად დაგვინიშნეს გურული ალექ. არუბელაძე. ამის შემდეგ კი ხალხი დაწყნარდა და მადლიერია უფროსისაო.

⁂ ჩვენის გაზეთის 152 №-ის ახალ ამბავში გვქონდა დაბეჭდილი გრძელი წერილი ლეჩხუმიდამ. ამ წერილში მოხსენებული იყო, რომ ლეჩხუმის ზოგიერთ სოფლებში ჰგონიათ, რომ თუ აბრეშუმის ჭია სოფელში იყოლიეს, ეკკლესია, ხატი იწყენსო და ამიტომ აბრეშუმის წარმოების გავრცელებას ხელს უცრიანო. ამის თაობაზედ აი კიდევ რასა გვწერს ზემოხსენებულის წერილის ავტორი: სოფ. ტოლაში ოთხმოცზედ მეტი კომლია და ერთს კომლს არ შეუძლიან, რომ თავის ოჯახში აბრეშუმის ჭია გააჭაჭანოსო. ამის მიზეზი აი რა გახლავთო: ჩვენს კარის ეკკლესიაში ასვენია ერთი ძველი ხატი მთავარ ანგელოზისა. ხალხსა სწამს, რომ თუ აბრეშუმი მოვიყვანეთ ეს ხატი იწყენს და მთელს სოფელს სეტყვითა და ნიაღვრით ამოაგდებსო. ხშირად მომხდარა, რომ რომელსამე ოჯახს გაუბედნია და დაუწყია აბრეშუმის ჭიის გამოყვანა, მაგრამ სოფელს გაუგია თუ არა, ყველა მიჰხვევიან აბრეშუმის პატრონის სახლს და შორს ღელეებში გადაუყრიათ ჩელტებიო. ტოლის მახლობლივ გახლავთ მეორე სოფელი, რომელსაც ეწოდება ქოშხა. აქაც წმიდა გიორგის რისხვის შიშით ვერა ჰბედავს ხალხი აბრეშუმის მოყვანას. ბევრი კიდევ სხვა სოფლებია ჩვენშიო, გვწერს კორრესპონდენტი, სადაც ამ უსაფუძვლო რწმუნების გამო ხალხი ახლოს ვერ ეკარება აბრეშუმის ჭიასაო.

⁂ 31 აგვისტოს დაბრუნდა ტფილისში უფროსი თავს-მჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა უმაღლესის კარის გოფმეისტერი ს. ს. გონჩაროვი. („კავკაზი“)

⁂ 31 აგვისტოს ტფილისში გზად ჩამოვიდა სპარსეთის მიერ დანიშნული ელჩი დიდ-ბრიტანიის სასახლეში მალკომ-ხანი. ხანი ლონდონიდამ თეირანში მიდის და თან ახლავან მდივნები: ისქანდერ-ხანი და ჰადრი-ხანი. („კავკაზი“)

⁂ სომხის საეკკლესიო სკოლები, როგორც სომხურს გაზეთებში იწერებიან, ამ ენკენისთვეში კვლავ იმოქმედებენო. ამ ჟამად უკვე მოქმედობს წმინდა გაიანეს ქალების სასწავლებელიო.

დამაკვირდი.

პირ-მოთნეობა ნაღმის ბაწრისა, სათნოების ქვეშ გათხრილი, რომ სათნოება პირ-ქვე დაამხოს. (დარკონვილი)

**

ვაჟკაცს-გმირს მარტო ომის უნარი აქვს, დიდ-ბუნებიანს—ყველაფრისა, ერთიცა და მეორეც იმოდენას ვერ აიწონვენ ერთად, რასაც ერთი პატიოსანი კაცი იწონს. (ლა-ბრუიერი)

**

გისსა შეყრასა მოწყენა
მოაქვს და მოსდევს ურვანი,
გაშორება სჯობს შეყრასა,
არ ჰქონდეს ცრემლთა წურვანი.
(მეფე ვახტანგ VI)

**

უჟამოს მწუხარებისა
სიბერე არის ნაყოფი,
გაადუხშირებს კეკლუცთაც
ჭმუნვა და ავი სამყოფი.
(არჩილ მეფე)

უმაღლესი რესკრიპტი

ყოვლად უსამღვდელოესო, საქართველოს ეგზარხოსო, მთავარ ეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისავ, პავლე.

მწყემსთ-მთავრული სამსახური თქვენი ყოველთვის აღნიშნულია დაუცხრომელის შრომითა, ვითარცა იმიერ-კავკასიის ეკკლესიის საქმეთა-გამგეობაში, ისეც სასარგებლოდ თქვენდამი პირ-და-პირ მონდობილის სამწყსოისა, რომელიც ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით მოითხოვს განსაკუთრებულს მზრუნველობას მისდა კეთილ-განწყობისა და სასულიერო წარმატებისათვის. განათლებით აღსავსე გულ-მოდგინეობა თქვენი ამ წმიდა საქმეზე მიმართული და გულის სიმტკიცე უეჭველი თავ-მდებია, რომ კურთხეულს ნაყოფს მოიტანს სამერმისოდ, თუმცა სიძნელე და დაბრკოლებანი ამ ჟამად წინა გხვდებათ.

ნიშნად ჩემის ყურადღებისა ესოდენ ღირსეულის და თვალ-საჩინო თქვენის მოქმედების მიმართ, ყოვლად-უმოწყალესად გიბოძებია თქვენთვის ამასთანავე წარმოგზავნილი ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზედ სატარებლად. ამ ჩვენის სარწმუნოების უწმინდაესის და ყოვლად-მძლეველ ნიშანის მფარველობით განაგრძეთ დაუღალავად მოღვაწეობა თქვენი სასარგებლოდ და სადიდებლად წმინდისა ეკკლესიისა.

მივენდობი რა თქვენსა ლოცვა-კურთხევას, დავშთები სამარადისოდ თქვენდა კეთილ-მოწყალედ.

ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით წარწერილია

„ალექსანდრე“

30 აგვისტოს 1886 წელსა.

უმაღლესი ბრძანება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, 19 აგვისტოს 1886 წელსა.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღვარი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ყიფიანი (4 აგვისტოდამ 1886 წ.)

მართებლობის განკარგულებანი

დათხოვნილია სამსახურიდამ, თავისავე თხოვნის თანახმად, კავკასიის სამთო ინჟინერი VI კლასსისა თავადი წულუკიძე ამ წლის 9 ივლისიდამ მუნდირითა და პენსიით.

დათხოვნილია თანამდებობიდამ გორის მაზრის უფროსი, პარუჩიკი თავადი ამილახვარი. თ. ამილახვარს ედება ბრალი, მოხსენებულნი კანონ-დებულების 338, 339, 341 და 362 მუხ. და ამის გამო გამოძიებაა დანიშნული.

დაინიშნა სამსახურ გარეშე მყოფი მაიორი აბდურ-რაჰმ-ბეგ-ზეინალ-აბდინ-ბეგოღლი ვიზიროვი შუშის მაზრის ისტანციის უფროსად.

გადაყვანილ იქმნა დისტანციის უფროსი შუშის მაზრისა მილიციის პრაპორშჩიკი ბერიძე ამ სამსახურიდამ და დაინიშნა ჯევანშირის პოლიციის პრისტავად, 14 ივნისიდგან.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს «Новости»-ში მოყვანილია ინგლისურ და ნემეცურ გაზეთების აზრი ხელმწიფე იმპერატორის და მთავარ ალექსანდრეს დეპეშების შესახებ. გაზეთი „Morning Post“-ი აქებს მთავარ ალექსანდრეს საქციელს.

> დიდი შეცდომა იქნება გვთქვათო, ამბობს გაზეთი, რომ ვითომ მთავარი ალექ-

---

ხმით: „არასოდეს, არასოდეს მე მაგ კაცს აღარ დავეკუთვნებიო.“ ქალი დაფიქრდა იმაზედ,—თუ რაოდენად ძნელი შესაძლებელი იქმნებოდა მისთვის ეს თავისი სურვილი და დარწმუნდა, რომ თქმა ადვილია და შესრულება საშინლად ძნელი. წინდაწინვე ჰგრძნობდა, რომ საჭირო იყო ბრძოლა მუდამ დღე; ჰხედავდა, რომ თავი უნდა დაეცვა ყოველ ღამეს, ყოველ საათს. დიდს საზოგადოებაში კიდევ ჰო, ჰო. იქ მუდამ დღე ერთმანერთში დადიან, ერთობიან, სხვა-და-სხვა საქმეს მისდევენ, თავისი საკუთარი სახლი ცოლ-ქმარს უფრო სხვა ნაირადა აქვს მომართული და მოწყობილი, ისე რომ თუ ცოლ-ქმარნი ვერა თავსდებიან, შეუძლიანთ ერთსა და იმავე დროს ვითომ ერთადაც იცხოვრონ და ცალკ-ცალკეცა, ერთმანერთის თავ-მოუბეზრებლადა. მაგრამ ასე არ არის შუათანა საზოგადოებაში, ბურჟუაზიაში აგრე ადვილი არ არის. აქ სხვა-და-სხვა დიდკაცური გართობა ძალიან იშვიათია და ცოლი და ქმარი ყოველს წუთს ერთმანერთსა ჰხედავენ.—«ღმერთო, რა ვქნა, რა მოვახერხო?!»—ეკითხებოდა თავის თავს ელენე; და მერე გულ-მაგრობით დაუმატებდა: „ვიპოვი ღონეს... ჩემთვის დიდად სასიხარულო იქნება თავი გამოვიდო იმის გულისათვის!..“

მეორე საღამო, ერთად ყოფნის შემდეგ, ერთად გავატაროთ ვარიეტეს თეატრშიო, ასეთი პირობა დასდეს შეყვარებულთა; თეატრში გატარებული დრო ისე სასიამოვნოდ დარჩა ელენეს, რომ გულში ასე ამბობდა: იქნება ჩემს სიცოცხლეში მაგისთანა თბილი და სასიხარულო წუთნი ვეღარც ვიგებო და ვეღარც ვიხილოვო. მართალაც, ამ სამწუხარო სიყვარულის მიმავლობაში ასეთი მხიარული არასდროს არა ყოფილა. დილითვე რომ ადგა, დიდი წერილი დასწერა არმანთან და სწორედ იმ დროს, როცა ჰგზავნიდა კიდეც, მიიღო ახალგაზრდა ყმაწვილისაგან პატარა, თითქმის საალერსო ბარათი. ამ ხანად ყმაწვილი თავის ჩვეულების წინააღმდეგ წასულიყო. ელენეს გუშინდელმა მოუსვენრობამ და გულის ლევამ გადაუარა და ისე მწვავედ აღარა სტანჯავდა; გუშინდელ ქარ-ტეხილის შემდეგ ელენე უფრო მზა შეიქმნა დამტკბარიყო მით, რაც ისე ძრიელა ჰსუროდა. ალფრედი იმ დღეს სახლში არ დანაყრდა და რაკი ის სახლში არ იყო, მძიმე ფიქრნი გუშინდელის საღამოსი მიწყნარდნენ. ამისათვის ქალი შევიდა თეატრში ისეთის მოცინარის გონებითა და მოკაშკაშებულის გულითა, როცა ადამიანს ასე ჰგონია, ჩემს გულში იადონი გალობსო და მისი გალობა მიტკბობს ყურსაო. ამ გვარს ყოფაში—კაცს ყველაფერი ახარებს, ისე როგორც სხვა გვარს ყოფაში—ყველაფერი შეურაცხ-ჰყოფს და აბრაზებს. საათის ცხრა იყო. ელენე იდგა ლოჟის ტალანში, ბენუარის კარ-წინ და მოსამსახურე-ქალი წამოსასხმელსა ჰხსნიდა. ელენემ ვერ გაჰბედა და ვერა ჰკითხა ამ ქალს, იყო ვინმე თუ არა ლოჟაში? მაგრამ აი გაიღო კარი. ყმაწვილის ქალის გულმა ცემა დაიწყო და ელენემ დაინახა არმანი, რომელმაც ის-იყო წამოიწია, რათა თავი დაეკრა ქალისათვის.

— ოჰ, რა მიყვარს, რა მიყვარს ეს კაციო,—ამბობდა გულში ელენე,—რომ ჩვენზე ადრე მოსულაო. რამდენიმე წამი გავიდა და მერე ძლივს გაჰბედა ქალმა და შეჰხედა არმანს. ყმაწვილი კაცი ფერ-მკრთალი ეჩვენა და ამან ცოტა არ იყოს შეაწუხა ელენე. მაგრამ თვალები კი ბედნიერის ღლისანი ჰქონდა, იმ ღლისანი, რომელნიც გულს უვსებდნენ ნეტარებითა. რასა თამაშობდნენ სცენაზე? ქალის ყურს მოესმოდა მუსიკა ორკესტრისა, ლაპარაკი არტისტებისა, ტაშის ხმა; მაგრამ ქალი-კი მარტო ერთს რამეზე ჰფიქრობდა: გავა ნეტავი თუ არა ლოჟიდამ შემდეგს ანტრაქტში ალფრედიო? ფარდა ჩამოეშვა. ბედნიერი შემთხვევა იყო, თუ რაღაცა, იმ საღამოს თეატრში მოსულიყო ერთი მათი ნაცნობი ოჯახობა. ელენეს ქმარი წავიდა იმათთან ქალების სანახავად. ქალი მარტო დარჩა ლოჟაში არმანთან. იმ წამსვე მოუბრუნდა და ჰკითხა:

— გიყვარვარ თუ არა დღესაო? არმანმა არა უპასუხა-რა, მაგრამ იმ საბაბით, რომ ვითომ ლორნეტი დამივარდაო, დაიხარა და ოდნავ ხელი მოუჭირა ქალს პაწია ფეხზედ. ეს რომ იგრძნო ქალმა, გაწითლდა და ერთს წუთს თვალები დახუჭა, ვითომ და, აღარ შემიძლიან ამაზე მეტიო. ქალმა უეცრივ გაჰკრა ხელი ყვავილებსა, რომელიც ყმაწვილს კაცს სერთუკის ღილ-კილოზე ჰქონდა დამაგრებული, მოჰგლიჯა და შეინახა. ალფრედი დაბრუნდა; ფარდა აჰხადეს; სცენა სცენას მისდევდა, მოქმედება მოქმედებასა, მაგრამ ქალს ამისი დარდი არა ჰქონდა. მარტო იმასა ჰგრძნობდა, რომ მეტად და მეტად ბედნიერი იყო. როცა წარმოდგენა გათავდა, არმანმა ხელი გამოართვა ქალს და ისე მიიყვანა კარეტამდე რა ნაირ უნდოდა, რომ არმანი იმის გვერდით ჩამჯდარიყო კარეტაში!. მაგრამ ყმაწვილი-კაცი უკვე უკან გამობრუნდა. ქალმა თვალი გააყოლა და დიდხანს უცქეროდა მიმავალს არმანს. შემდეგ კარეტა მოსცილდა თეატრის კარ-წინ ფაეტონების სიივიწროვეს და გასწია რიხინ-რიხინითა. „მშვიდობით, გონებიდამ განუყრელო!“—სთქვა მან თავისთვის. ქმარმა ამასობაში ხელი გამოართვა ქალს და ჰკითხა ხმა-მაღლა: „დღეს ხომ უკედა ხარ?ო“

— დიაღ, უკედა ვარ,—უპასუხა მან და თან სცდილობდა ხელი განეთავისუფლებინა,—მაგრამ წარმოდგენისაგან გული მიჩქროლავს... მოსვე-

სანდრე თავის დეპეშით თავს უხრის რუსეთსა. გაზეთი დიდს სიხარულს აცხადებს, რომ მთავარ ალექსანდრემ პოლიტიკაშიაც ისეთივე ნიჭი გამოიჩინა, როგორც სამხედრო ხელოვნებაში.

ნემეცური გაზეთი „Kölnische Zeitung"-ი ამავე საგნის თაობაზე ამბობს:

> საქმე თავის რიგზე მიდის და ამ ახლო ხანში უთუოდ უნდა გათავდესო. მთავარ ალექსანდრემ დღესაც ისეთივე პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა, როგორც წინადაც იჩენდა ხოლმეო. არა გაჭირებაში ალექსანდრე თავს არა ჰკარგავსო.

თუმცა ამისთანა ქება-დიდებას უძღვნის გაზეთი მთავარ ალექსანდრეს, მაგრამ მაინც გარდაწყვეტილად ამბობს, რომ მთავარ ალექსანდრემ უთუოდ უნდა დაანებოს თავი ბოლგარიის ტახტსაო.

არ გვესმის, ამას რა დიდი პოლიტიკური ნიჭი და გამჭრიახობა უნდა!

ბოლოს გაზეთს ერთი აზრი აქვს გამოთქმული და ეს აზრი ჩვენც საფუძვლიანად მიგვაჩნია.

> ახალს მთავარს ბოლგარიის ტახტზე დიდი სიძნელე და ბევრი დაბრკოლება მოელისო, ამბობს გაზეთი. რაც უნდა ბევრი ეცადოს ახალი მთავარი, რომ ბოლგარია ისე განაგოს, როგორც რუსეთი მოისურვებს..

⁂

გაზეთი „Московскія Вѣдомости" დიდს მნიშვნელობას აძლევს იმ დეპეშას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა ბოლგარიის მთავარს მისწერა

> ეს დეპეშა ცხადად უჩვენებს ევროპიის დიპლომატებს, რა გზას დაადგა ეხლა რუსეთის პოლიტიკა და აგრეთვე ამავე დეპეშით უნდა იხელმძღვანელონ რუსეთის დიპლომატებმა და მათმა აგენტებმა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში.

⁂

„ორდენების" მიღების გამო ბ-ნი მეშჩერსკის ერთ მეგობრის მაგალითს ვუჩვენებს.

> მე მყავს ერთი მეგობარი, თ-დი N-ით, მოგვითხრობს ბ-ნი მეშჩერსკი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს „ორდენები" და ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი შეიძინოს. ამის გულისთვის აი რა მოხერხებული საშუალება მოუგონია თ-დს N-სა: დაუწერია პორტუგალიის ისტორია, დაუბეჭდია თავის ხარჯით და ევროპიის ყველა ხელმწიფეებისთვის საჩუქრად მიურთმევია. ბ-ნ N-საც, რასაკვირველია, სამაგიეროდ კარგი საჩუქრები მიუღია, მიუღია ერთის სიტყვით ის, რაც ჰსურდა: პორტუგალიიდამ „გარსკვლავი" და სხვა ყველა სახელმწიფოებიდამ თითო „ჯვარი"... ასე წარმოიდგინეთ, რომ პაწია სამთავრო მონაკოსაც კი არ დაუვიწყნია ბ-ნი N-ი.

ჩვენ, სწორედ მოგახსენოთ, აქ ცუდს არაფერსა ვხედავთ: ჩვენის ფიქრით, „ორდენის" მოსაპოებლად, ეს საშუალება ბევრს სხვა საშუალებას გაცილებით სჯობია

უცხოეთი

ბოლგარია. «Kölnische Zeitung»-ის კორრესპონდენტი სწერს, რომ, როცა ალექსანდრე მთავარს უარი ათქმევინეს ტახტზე, მაშინ მისი სიცოცხლე დიდს განსაცდელში იყო ჩავარდნილიო. შემთქმელთ გადასწყვიტეს, მოეკლათ მთავარიო, მაგრამ, როცა ამისი ბრძანება გასცეს, მათი საქმე უკვე წაგებული იყოო. რუსეთის წარმომადგენელმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მივიდა დროებითს მთავრობასთან და დაუშალა ასეთის ბოროტების ჩადენაო.

— იგივე კორრესპონდენტი მოგვითხრობს, რა ლაპარაკი ჰქონია კარაველოვს ინგლისის წარმომადგენელთან, მაშინ, როცა ალექსანდრე მთავარი ხელ-მეორედ აპირობდა დაბრუნებას ბოლგარიაში. ინგლისის წარმომადგენელს ეკითხნა: რადა ხარ იმის წინააღმდეგი, რომ მთავარი უკან დაბრუნდესო? კარაველოვს ეპასუხნა: მე ვუცდი, რომ ეგ საგანი კანონიერად გადასწყვიტოს საერო კრებამაო. და მერე ეკითხნა: ინგლისი სიტყვას მოგვცემს, რომ დაიცავს ჩვენს საზღვრებს, უკეთუ ჩვენ ალექსანდრე მთავარს კვლავ მივიღებთო? თუ ამის სიტყვას მოგვცემს, მაშინ კიდევ ვიფიქრებ, ჩემის სამშობლოს სიკეთისათვის, ვისი მხარე დავიჭიროო, რუსეთისა, თუ ინგლისისაო.

— ზემოხსენებულივე გაზეთი ამბობს: ბისმარკი კარგად მოიქცა, რომ წინააღმდეგობა არ გაუწია რუსეთს ბოლგარიის საქმის გამო. ასე რომ არ მოქცეულიყო ჩვენი დიპლომატია, რას იტყოდა რუსეთის იმპერატორის დეპეშის გამო. ამ დეპეშაში ხომ ცხადად არის გამოთქმული, რაცა სწადიან რუსეთსაო. რუსეთს იმ თავითვე არ მოსწონდა ალექსანდრე მთავარი და ყველას უნდა წინდაწინვე სცოდნოდა, რომ ადრე, თუ მალე, აუცილებელი შეიქმნებოდა მისი გადაყენება ტახტიდამაო.

— ჯერ ისევ მაშინ, როცა ფილიპოპოლის არეულობა მოხდაო, ამბობს გაზ. „Новости", ბოლგარები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ამბავი რუსეთს ძალიან გაახარებსო. მართლაც გაზეთებმაცა და საზოგადოებამაც სიხარული დაიწყო. მაგრამ რაკი ჩვენმა მტრებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს მაშინდელი არეულობა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით მოგვეთხოვა წინანდელი ყოფა აღდგენილიყო. ამ გარემოებამ ყველას ის აფიქრებინა, ვითომ რუსეთი ბოლგარიისა და რუმელიის გაერთიანების წინააღმდეგი ყოფილიყო ან მაშინ, ან ეხლაო. აქედამ წარმოსდგა, რომ ალექსანდრე მთავარს ისე დაუწყეს ყურება ბოლგარიაში, როგორც ამ ქვეყნის მხსნელსა და დიდს მოყვარეს. უნდა დავამტკიცოთ ეხლა რომ ეს ასე არ არის და ამით გავაძლიეროთ ჩვენი დასი ბოლგარიაშიო.

— აგენტი ბრიტანიის მთავრობისა სტივენი არწმუნებდა თურმე მთავარს ალექსანდრეს, როცა მან მინისტრებს გამოუცხადა, მსურს უარ-ვყო ტახტიო, რომ უკან წაიღე შენი სიტყვები და არამცა და არამც თავი არ დაანებო ბოლგარიასაო.

— რუსეთის მოწინააღმდეგე უაიტი დაინიშნა ინგლისის ელჩად სტამბოლში ტორნტონის მაგიერადაო. ეს პირველი ასაფეთქი ნაღმია. ვნახოთო, ამბობენ რუსული გაზეთები, ვის დაიტანს ეს ნაღმი, როცა იფეთქებსო.

— მთავარმა ალექსანდრემ, ვიდრე ხელ-მეორედ წავიდოდა ბოლგარიიდამ, მიიწვია რუსეთის მომხრე დასის მოთავე ცანკოვი და რჩევა ჰკითხაო. ცანკოვმა ჯერ ის უთხრა, რომ მე არა ვიცოდი-რა, თუ შეთქმულობა იყოვო. როცა უკვე ყველაფერი გათავებულიყო, მაშინ გადავსწყვიტეთ, აგვეღო და გვეტვირთნა მე და მიტროპოლიტს კლიმენტს მართვა ქვეყნისა, რათა დაგვეცვა წესიერება და მშვიდობიანობაო. თქვენ შესახებ ჩემი აზრი ის არისო: რომ თქვენი დარჩენა ბოლგარიაში უთუოდ დიდს შინაურს არეულობას გამოიწვევს და ეს არც ბოლგარიისათვის იქმნება კარგი და არც თვითონ თქვენთვისაო. ეს არის ჩემი გულ-წრფელი რჩევაო.

— მიტროპოლიტს კლიმენტს უთქვამს, მას შემდეგ, როცა მონასტრის საპყრობილიდამ გაუნთავისუფლებიათ: ჩემის აზრით ბოლგარიის საქმე კარგად გათავდება, თუ რუსეთი და ალექსანდრე მთავარი შერიგდებიანო. მთავარი ძალიან უყვართ ბოლგარებსაო და უნდათ, რომ დარჩეს მთავრად მათს ქვეყანაში მხოლოდ იმ პირობით, თუ მოხდება რუსეთის მფარველობაო.

— ბოლგარის მთავრისთვის ჯილდოდ სამი მილიონი ფრანკი მიუციათ. მთავარს მილიონ ნახევარი ვალები აქვსო. რაც საკუთარი მამულები ჰქონია, მთავარს ბოლგარიის სახელმწიფოსათვის შეუწირავს.

— გაზეთი „Neue Freie Presse"-ს გაუგია, ვითომ პრინც ემანუელ კონიკი ვოგორიდესს მზადა ჰქონდეს პროკლამაცია და ჰსურდეს ბოლგარიის მთავრად დადგესო. პრინცი-ალექო ფაშას ძმის-წულია. ამ პრინცს ამას წინად კარაველოვისთვის წერილი გაუგზავნია, სადაც ამბობს, რომ ბოლგარიამ პოლიტიკაში რუსეთის მხარე უნდა დაიჭიროსო. ამასთან ნამდვილად იმასაც ამბობენ, რომ ბოლგარიის მეამბოხე დასსა ჰსურს ბოლგარიის ტახტზე ოლდენბურგის პრინცი დასვასო.

დეპეშა

1 სექტემბერს

ბრესტ-ლიტოვსკი. მოწერილი ამბავი „Правительственный Вѣстникъ"-ისა: შაბათს, საღამოს ხუთს საათზე მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ პრინც ვილჰელმითა და სამეფო გვარეულობის უმაღლეს წევრთა თანა-დასწრებით ინახულეს ციხის არტილერიის ბანაკი. გზაზედ მათ უდიდებულესობათ ალტაცებით მიეგებნენ ბრესტის სიმაგრეთა მუშები. მუშებმა მათ უდიდებულესობათ პურმარილი მიართვეს. საღამოს 8 საათზე მათ უდიდებულესობათ სადილი ჰქონდათ გამართული. სადილად ბრძანდებოდნენ: პრინცი ვილჰელმი, უმაღლესნი წევრნი სამეფო გვარეულობისანი, მინისტრები, წევრნი ამალისანი, გენერალ-გუბერნატორები ვარშავისა და ვილნოსი და გუბერნატორი გროდნოსი. საღამოს 10 საათზედ მათი უდიდებულესობანი სტუმრითა და სამეფო გვარეულობის უმაღლესის წევრებითა წაბრძანდნენ ეტლებით „გრაფ ბერგ"-ის ციხეში, საცა ინებეს და უცქირეს, როგორ აუშვეს შუშხუნები მათ უდიდებულესობის სახელ-წოდების დღეობის პატივ-საცემლად. როცა მათ უდიდებულესობათა ვენზელი გაანათეს ჩირაღითა, «გრაფ ბერგს»-ის ციხეზე გამართულ ზარბაზნებიდამ ასტყდა სროლა, ამავე დროს ოთხმა მემუსიკეთა ხორომ დაუკრა საერო საგალობელი და ციხის სხვა-და-სხვა ბურჯებიდამ გრგვინავდნენ ზარბაზნები. მე-12 საათზე მათი უდიდებულესობანი დაბრუნდნენ ციხეში. გზა მშვენიერად იყო განათებული. კვირას ხელმწიფე პრინც ვილჰელმით წაბრძანდა ეტლით რკინის გზის სადგურზე. ამ ეტლს მიჰყვებოდა მეორე ეტლი, რომელშიაც ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი გიორგი და ვლადიმერ ალექსანდრეს-ძენი. მათ უდიდებულესობათა და უმაღლესობათ გააცილეს სტუმარი ვაგონამდე და გამოეთხოვნენ. გამოსალმების დროს, ისე, როგორც მისალმების დროსაც,

---

ნება მეჭირვება. აგერ მეხუთე ღამეა, რაც არა მძინებია.

შაზელი ძალიან კარგად მიხვდა, რას ნიშნავდა ასეთი პასუხი. ალფრედი ჩუმად იჯდა კარეტის ერთს კუნჭულში. ელენეც გაჩუმებული იყო, მაგრამ მან უკვე მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო. ხვალვე წავალ, ალფრედთან ერთად, ჩვენ ექიმთანაო, ჰფიქრობდა ელენე. ხვალინდელ დღეს მიიღებს ხოლმე ავად-მყოფებსაო. მე მარტო შევალ ექიმთანაო, მოვიგონებ რასმე ავად-მყოფობასაო და მერე ვეტყვი ქმარს, რომ ექიმმა აღმიკრძალა დრომდე ქმართან ყოფნაო. ქალმა კარგად იცოდა ალფრედის მორცხვობა და დარწმუნებული იყო, რომ შემიბრალებს მხოლოდ და იმას არ გამოეკიდება სრულიად, რა ავად-მყოფობაა ჩემი ავად-მყოფობაო.

ელენემ გული გაიკეთა ამ მოსაზრებითა და სახლში რომ მოვიდა, გულიანად დაიძინა. რამდენსამე კვირას ასეთს ნეტარებაში იყო ქალი. როცა დილით გამოეღვიძებოდა, მაშინათვე არ გაახელდა ხოლმე თვალებს. უნდოდა, რომ პირველ ყოვლისა არმანის სახე წარმოედგინა ხოლმე ცხადადა. თუ ის დღე იყო ხოლმე, როცა არმანის ნახვას არ მოელოდა, ზლაზნით ადგებოდა ხოლმე ლოგინიდამ. რადგან ნახვის ფიქრი არ აღელვებდა, ამიტომ გულდამშვიდებული მიეცემოდა ხოლმე ფიქრს თავის საყვარელზე. წინა ღამეს დაიწყობდა წერილის წერასა და მეორე დღეს დილით, გაიღვიძებდა თუ არა, დაათავებდა ხოლმე. ეს იმის ნიშანიაო, რომ სულ განუწყვეტლივ იმაზე ვფიქრობო. საღამოს გამოთხოვება უნდა შეჰხვდეს დილის სალამსაო. ასე ჰფიქრობდა ელენე. ხან-და-ხან მოახერხებდა ხოლმე და გაჰგზავნიდა წერილს; ხან-და ხან-კი, შეჰკეცდა ორად და კაბის ჯიბეში ჰქონდა შენახული და ხელ-და-ხელ მიაწვდიდა ხოლმე ნახვის დროს. არმანისაგან არავითარს პასუხს არა თხოულობდა; ყმაწვილმა-კაცმა დაარწმუნა ქალი, რომ კეთილ-გონიერება ითხოვს, წერილები არა გწერო ხოლმეო. ქალი ვერ მიხვდა, რომ ეს კეთილ-გონიერება იმას ამტკიცებდა, რომ კაცი არ იყო სიყვარულით გატაცებული, უფრო იმასა ჰნიშნავდა, რომ ამ კაცს შორს-მხედველი ანგარიში ჰქონდა, როგორც სიყვარულის საქმეებში კარგად გამოცდილსა და რაკი ჰხედავდა, რომ ჩქარა ამ ქალის თავის დანებება მომიხდებაო, არ უნდოდა, რომ რაიმე წერილი საბუთად ჩაჰვარდნოდა ხელში ელენეს, როცა გადაემტერებოდა.

თავის ბეჭედზე ქალმა ამოაჭრევინა ასო S ისე, ვითომ გველიაო. ეს ვითომ იმიტომ, რომ ამ ასოთი იწყობოდა სახელი იმ ქუჩისა, საცა მან გაატარა საუკეთესო თვისნი დღენი. ამ ყმაწვილურმა ამბავმა არმანი ძალიან გააცინა. ეს ქალს ცოტა არ იყოს ეწყინა, მაგრამ ისევ გული გაიკეთა და სთქვა თავის თავად: კაცებმა ისე არ იციან სიყვარული, როგორც ჩვენ, ქალებმაო. როცა გულს იჯერებდა ფიქრითა თავის საყვარელს კაცზე, ელენე მხიარულად შეუდგებოდა ხოლმე საოჯახო საქმეებსა. არავითარი შრომა არ ემძიმებოდა ამ დროს ქალსა, ამიტომ რომ მუშაობის დროს განუწყვეტლივ იმეორებდა ნელის ხმით ამ სიტყვებს: „მე იმას ვუყვარვარ, მე იმას ვუყვარვარო!" ელენე უფრო თავის შვილის ზრუნვაში იყო. ეხლა შვილს ისე ჰკოცნიდა, რომ სინიდისი სრულიად აღარ აწუხებდა. «არა, ჩემო ძვირფასო შვილო, მე შენთვის არა წამირთმევია რაო», —ამბობდა გულში. იმ ყოვლად-ძლიერის სიტყვების თამაშობის მეოხებით, რომელიც ასე სჩვევია ბედნიერს სიყვარულს, ქალმა ამ გვარი აზრი შეადგინა თავის ქმარზედაც და იმასთანაც ამ სახით იმართლებდა თავის თავსა:—„მე მხოლოდ პატივსა ვსცემდი ყოველთვის ჩემს ქმარსაო და ეხლაც წინანდებურადვე ვსცემ პატივსაო." მას შემდეგ, რაკი ვითომ და ექიმის აღრძალვის გამო თავიდამ აიცილა ალფრედის ალერსი, რომელიც ეზიზღებოდა, ქალი სცდილობდა, რომ მისი სიხარული, რომლითაც სავსე ჰქონდა გული, ქმარსაც ჰრგებოდა. ახლა უბრალო რამეების გამო ისე კაპასობითა და გამწარებულის სიანჩხლით კი აღარ ექცეოდა ქმარს, როგორც წინად, როცა ამ გვარის მოპყრობით ძულება უნდა დაემტკიცებინა იმ კაცის მიმართ, რომელსაც ეკუთვნოდა, მაგრამ რომელმაც-კი ვერ მოახერხა და თავი ვერ შეაყვარა. ქალი აღარა ცეცხლდებოდა, როცა ალფრედი ისეთს რასმე იტყოდა ხოლმე სადილზე, რის თანახმაც არ იყო ცოლი, აღარა ბრაზობდა, როცა უხერხულად იკითხავდა რასმე ალფრედი, ან ყმაწვილურს რასმე ჩაიდენდა; ქალი მხოლოდ იმასა სთვლიდა გონებაში, რამდენი საათია კიდევ დარჩენილი არმანის მოსვლამდეო. როცა არმანი შემოვიდოდა, იმდენად ბედნიერად სთვლიდა თავის თავს, რომ ფიქრადაც აღარ მოსდიოდა, თვალყური ეგდო ამ კაცის ქცევისათვის. არმანი ეუბნებოდა, რომ მიყვარხარო, და ამას იმით უმტკიცებდა კიდეც, რომ ხელი აიღო მედიდურს ცხოვრებაზე, თეატრზე, კლუბზე და მასთან ატარებდა ორს და სამს საღამოს კვირაში. «რა სარგებლობა აქვს განა რომ მატყუებდესო, ამბობდა ქალი, და ან აბა ამისთანა კაცს როგორ არ უნდა მივენდო სულითა და გულითაო.»

გ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ხელმწიფემ ორჯერ აკოცა პრინცსა. პრინცი დაბრუნდა გერმანიაში ვარშავის გზითა. როცა მათი უდიდებულესობანი რკინის გზის სადგურისკენ მიბრძანდნენ, გზაზედ მდგომი ჯარი და ხალხი აღტაცებით ჰყვიროდა «ურა»-სა. როცა ის მატარებელი წავიდა, რომელშიაც პრინცი ბრძანდებოდა, მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი საიმპერატორო მატარებლით წაბრძანდნენ ლიშიცის სადგურამდე, საცა მათ უდიდებულესობათა წინაშე წარსდგა დეპუტაცია მოტიკალის სამამასახლისოს გლეხთაგან და პურ-მარილი მიართვა ხელმწიფესა და დედოფალსა რკინის-გზის სადგურიდამ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ეტლებით წაბრძანდნენ ალლუმის სანახავად და მერე საღამოს ოთხს საათზედ მობრძანდნენ ისევ ბრესტლიტოვსკს.

სოფია. გუშინ, კვირას რეგენტმა მუტკუროვმა და სამხედრო მინისტრმა ნიკოლაევმა დიდის ამბით დაურიგეს აღმოსავლეთ-რუმელიის ჯარებს ბოლგარიის დროშები, მიტროპოლიტისაგან წინასწარ ნაკურთხი.

პარიჟი. სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა ოფიციალურად, რომ გაზეთი „La France Militaire", რომელმაც ამას წინად დაბეჭდა ფრიად ცხარე წერილი ომის თაობაზედ, ოფიციოზური გაზეთი არ არის სამხედრო სამინისტროსიო. საფრანგეთის ელჩად დანიშვნა ბერლინში გარეშე-საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა გერბეტისა, საფრანგეთის გაზეთებს კარგს ნიშნად მიაჩნიათ, ვითომ ეს ამბავი მოასწავებს, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის კარგი განწყობილება დამყარებულაო.

პეტერბურგი. მთავრობისაგან გამოცხადებულია ოფიციალურად ფასი საბაჟო კუპონებისა. 100 მანათი ოქროს ფული ეღირება 165 მან. და 75 კაპიკად, იმის მაგიერ, როგორც წინად იყო, როცა ხუთ მანათიანი ოქრო ჰღირდა 8 მან. და 52 კაპ.

ვენა. გაზეთს «Fremdenblatt»-ს აუწყებენ ლუბიენიდამ, რომ შაბათს სადარბაზო სადილზე იმპერატორმა ფრანც იოსებმა მიირთვა სადღეგრძელო რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისა და ხორომ დაუკრა რუსული საერო საგალობელიო. ხელმწიფე იმპერატორისაგან მადლობის დეპეშა იმ ღამესვე მოვიდაო.

კილი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე წაბრძანდა აქედამ პარიჟის გზით ბიარიცს. რუსეთის იახტები ‹Держава› და „Царевна" ჯერ კიდევ დიდ-ხანს დარჩებიან აქაო.

სოფია. ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღეობის გამო შეთვლილის მილოცვის პასუხად, მათმა უდიდებულესობამ ინება და უბრძანა აქაურს დესპანს რუსეთისას მადლობა გადაეცი მთავრობასა, სამღვდელოებასა და საზოგადოების წარმომადგენელთაო. ხელმწიფე იმპერატორმა ინება კიდევ და ბრძანა, რომ იმედია ბოლგარია, რომლის კეთილ-დღეობა მე ძვირად მიღირსო, დაიცავს წესიერებასა და მშვიდობიანობასა, რადგან სიკეთე და ნაყოფი მათი ყოვლად საჭიროა ამ ჟამად ამ ქვეყნისათვისაო. რაც უფრო ღირსეულად შეასრულებს ბოლგარია ამ საქმესა, მით უფრო კეთილ-მოსურნე მფარველი ვიქმნები მისიო.

დღეს დაიწყო საერო კრება. სტამბულოვმა წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა, რომ ტირნოვოში მალე იქნება მოწოდებულ დიდი საერო კრება მთავრის ამოსარჩევადაო.

2 სექტემბერს

პეტერბურგი. დღეს გამოცხადდა, ვის რა ჯილდო ებოძა ყოვლად უმოწყალესად 30 აგვისტოს სამხედრო უწყებაში: ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა —სამხედრო მინისტრს ვანოვსკის და მე-15 არმეისკ-კორპუსის კომანდირს შატილოვს; ორდენები ებოძათ: ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა; საიმპერატორო უმთავრესის სასახლის გამგებელის თანაშემწეს—ვოიეიკოვს, კორპუსების კომანდირებს: გრენადერებისას—სტალიპინს, მეორე არმეისას—პეტრუშევსკის, მეექვსესას—პავლოვს და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მხედართ მთავრის თანაშემწეს შერემეტიევს; თეთრის არწივისა: შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს ორჟევსკის, კავკასიის პირველის არმეის კორპუსის კომანდირს თ. ჭავჭავაძეს არტილერიის არმეის კორპუსების უფროსთ: მერვესას—პოლუბოიარინოვს და მეთორმეტესას—ბარსოვს; ქვეითის ჯარის დივიზიების უფროსთ: მესამისას—კარეკოვს, მეოცდა მეექვსისას—მალახოვს, კავკასიის ცხენოსანთა დივიზიის უფროსს თ. ამილახვარს, კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსს—პოდიმოვს და ხარკოვის სამხედრო ოლქის მხედართ-მთავრის ხელქვეითს დრეინიაკინს; წმ. ვლადიმერი მეორე ხარისხისა: უფროსთ ქვეითის ჯარის დივიზიებისას: მეოცისას—მირკოვიჩს, მეათისას—იგელსტრომს, მე-25-სას—პოლუსს და მე-19-სას—დუდინსკის; არმეის კორპუსების არტილერიის უფროსთ: მე 3-ისას კოსტოგოროვს, მე-13-სას კალმიკოვს, მე-18 ადგილობრივის ბრიგადისას—კურლოვს, ომსკის საოლქო ინტენდანტს—იუნიევს; კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში მყოფს ქიშმიშოვს, კომენდანტერს: მოსკოვისას უნკოვსკისა, ვარშავისას—კროკს, კავკასიის საპერების ბრიგადის უფროსს ზეზემანს, თურქესტნის სტრელკოვის ბრიგადისას—ლეკაშოვს, სამხედრო მინისტრის ხელ-ქვეითს თ. კანტაკუზენს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეს ბოღდანოვიჩს. ებოძათ განსაკუთრებულის სამსახურისათვის გენერალმა „ოტინფანტერიი"-სა: უმთავრესის საიმპერატორო სასახლის გამგებელს—რიხტერს მე-10 არმეის კორპუსის კომანდირს სვეჩინს, გენერალ-ლეიტენანტობა: ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსს გენერალ მაიორს ბეზაკს, რომელიც მისის უდიდებულესობის ამალის საგენერალო შტაბში ითვლებოდა და კვლავაც ამ თანამდებობაში დარჩება.

‹Journal de St.-Petérsbourg›-ი ამბობს, რომ სასურველია ბოლგარიის საერო კრებამ იხელმძღვანელოს და სახეში იქონიოს ჭეშმარიტი და საშვილიშვილო სარგებლობა ქვეყნისა და არა კერძო დასთა ინტერესების. დათრგუნვა კერძო ინტერესებისა საჭიროა ბოლგარიის სამერმისო ბედის უზრუნველ-ყოფელობისათვის.

ლონდონი. აქ მოწოდებულ იქმნა არა ინგლისის საგენერალო კონსული ლასელი, არამედ ინგლისის საქმეთა რწმუნებულად ნამყოფი სოფიაში სტივენსი.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

3 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ანთიმისა და თეოფილესი. კათოლ. ღვთის-მსახურება დღისით. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55—7. ტფილისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—10; მთვარე ამოდის 7—31, ჩადის 7—2.

4 დღე ხუთშაბათი. მოწ. ბაბილასი და მოსე წინ.-მეტყ. კათოლ. წმ. ქალწ. როზალია პანორმატანიისა. სომეხ. წმ. იოანე წინა-მორბედისა. მუსულ. ეიდი-გადრი-ხუმ. წინ.-მეტყ. მაჰმადი თავის მემკვიდრედ ელისა ჰნიშნავს (შიიტებს) გენერალ-ლეიტენანტი თავადი პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი დაინიშნა მთავარ-მართებლად კავკასიაში კნორრინგის ადგილას, 1802 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—46. ტფილისში მზე ამოდის 5—41, ჩადის 6—8; მთვარე ამოდის 8—1, ჩადის 8—0.

5 დღე პარასკევი. წინ.-მეტყ. ზაქარიასი და წმ. ელისაბედისა, ქალწ.-მოწ. რაისასი. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. ლავრენტისა. სომეხ. მარხვაა. ერეკლემ დაქირავებულის ჯარით სრულიად დაამარცხა აჯი-ჩელების შვილი, 1752 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—25. ტფილისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7; მთვარე ამოდის 8—30, ჩადის 9—50

6 დღე შაბათი. მთავარ-ანგელოზ მიქაელისა. კათოლ. წმ. ქალწ. როზა ვიტერბუნსკისა. სომეხ. ნიკიის წმ. კრების 318 მამა მთავართა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—5; მთვარე ამოდის 9—9, ჩადის 9—57.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ· აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1 ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობათ საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	**ბათუმი**	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ყვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24	—	—

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეხუთე გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, და გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—საღმრთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმის მოთხრობისას, სურათებით. საღმრთო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზედ ერთი თაბახით, ანუ 32 გვერდით, დიდია; მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამამცემლის გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდის ყურთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—1)

ახალი

სასწავლებელი და პანსიონი
გ. ნ-მის იოსელიანისა და ი. რ. მრევლიშვილისა.

იღებენ ყმაწვილებს მოსამზადებლად ყოველ საშუალო სასწავლებლებში.

ვარანცოვის ხიდის პირდა-პირ, ნიკოლაევის ქუჩა. თ. გრუზინსკის სახლი № 21. (5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე